



შარქის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №8(94) 2015 წ. 16-30 აპრილი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბიორგი გზირიშვილი, გამგებლის მოადგილე დავით ივანიშვილი და გამგეობის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბენეფიციარებს ესტუმრნენ, ადგილობრივ ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს და სააღდგომო ნობათი გადასცეს. ადგილობრივი ხელისუფლებისგან საჩუქარი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 500-მა ბენეფიციარმა მიიღო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის თქმით: – „ადგილობრივ ბრწყინვალე დღესასწაული ყველა მართლმადიდებელი ოჯახისათვის განსაკუთრებული დღესასწაულია და ჩვენც შევეცადეთ ეს დღესასწაული ჩვენი მუნიციპალიტეტის ბენეფიციარებისთვის ამ მცირედი

სააღდგომო დახმარება სოციალურად დაუცველებს



ბიორგი გზირიშვილი სააღდგომო საჩუქრებით „სათნოების სახლი“ №1-ის ბენეფიციარებთან

საჩუქრით მიგველოცა“.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახებს ადგილობრივ ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა სოფელ პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის ხელმძღვანელობამაც, მათ სოციალურად დაუცველ ოჯახებს სააღდგომოდ 5000 კვერცი გადასცეს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა პატარძეულის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორს ბატონ ოთარ მუხიაშვილს მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის.

გვანცა ჭავჭავიძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი



ბიორგი გზირიშვილი „სათნოების სახლი“ №1-ის ბენეფიციარებთან



ბიორგი გზირიშვილი „სათნოების სახლი“ №2-ის ბენეფიციარებთან



ბიორგი გზირიშვილი ნათელა ბაჩოშვილს ადგილობრივ დღესასწაულს ულოცავს



პატარა სააღდგომო საჩუქრით



ბალიაშვილი გვამბეგლის წარმომადგენელი ნანა ტაყელოშვილი სააღდგომო საჩუქარს გადასცემს ბალიაშვილ ბენეფიციარს

კონკურსი

მხედრობის კონკურსი

გაგონების საბოლოო შედეგები

პარტა ხანია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დამთავრდა "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი. კონკურსმა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია, რასაც ვერც ჩვენი მუნიციპალიტეტი ასცდებოდა. კონკურსის ჩატარების მიმდინარეობისა და საბოლოო შედეგების შესახებ გვესაუბრება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურდიული სამსახურის უფროსი ბახაბაძე მარგაბაძე.

ბატონო კახა, კონკურსის შესახებ თითქმის ყველაფერი საჯარო უნდა ყოფილიყო, მაგრამ ინტერნეტ-მომსახურებაზე ხელი ვერცხვამოხერხდა, არადა ყველას ინტერესებს ყველაფერი კონკურსის შესახებ, მის ირგვლივ საკითხები და საბოლოო შედეგებიც...

დიახ, გეთანხმებით, დღესაც დიდია ინტერესი ამ კონკურსის მიმართ, რომლის პრინციპები, მიზანი, ამოცანები, კანდიდატის უფლებამოსილება, კომისიის შემადგენლობა, კომისიის შემადგენლობა და მისი საქმიანობა, კონკურსის ჩატარების ფორმები და პირობები, საპრეტენზიო კომისიის მუშაობის წესი, ასევე კონკურსის შედეგების გასაჩივრება და სხვ.

მართალია გვიან, მაგრამ მაინც ინტერეს-მოკლებული არ იქნება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შემადგენლობის განცხადება.

დიახ, კომისიის თავმჯდომარის, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის გიორგი რევაზიშვილის ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ გამგებლის მოადგილე - დავით ივანიშვილი, გამგეობის სამსახურის უფროსები კახაბერ მარგაბაძე, თენგიზ ივანელაშვილი, გიორგი ქურდოვანიძე, თეიმურაზ ტაყაიშვილი, თინათინ ძაბილაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ცისმარი თედიაშვილი, ნუგზარ ჭინჭარაული (საჯარო მოხელეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე), დედა ფანიშვილი (დამოუკიდებელი სპეციალისტი).

ჩვენი რაფორტი გეთქვამს კონკურსის პრინციპებზე, რომელიც არანაკლებ საინტერესოა. შევასწავლოთ ეს პრინციპები ჩვენი გაზიარების მიზნით.

დავიწყებთ იმით, რომ კონკურსი არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით კანდიდატის შესაბამისობის დადგენა ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან. სწორედ აქედან გამომდინარეობს კონკურსის პრინციპები: კანონიერება, სამართლიანობა, საჯაროობა, გამჭვირვალობა, არადისკრიმინაციულობა, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა, კოლეგიურობა, კორექტულობა.

რაც შეეხება მიზანს, აქვე ვიტყვი, რომ კონკურსის მიზანი იყო ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით შესაბამისი კანდიდატის შერჩევა. ხოლო კონკურსის ამოცანები იყო: საქართველოს მოქალაქეთათვის ვაკანტურ თანამდებობათა თანაბრად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატის შერჩევის და ასევე, მათ თანამდებობებზე დანიშნვის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა კონკურსში მონაწილე კანდიდატების კვალიფიკაციის, პროფესიული დონის, პიროვნული თვისებების, მოტივაციის და უნარ-ჩვევების შეფასება, შერჩეული კანდიდატების ვაკანტური თანამდებობის მოთხოვნებთან შესაბამისი დონის განსაზღვრა.

რაც შეეხება კონკურსის ეტაპებს, რა ეტაპების გაგება მოუწიათ კონკურსანტებს?

კონკურსი მოიცავდა სამ ეტაპს: განცხადებების გადარჩევას, ტესტირებას, გასაუბრებას. კონკურსი ჩვენთან 2014 წლის 8 დეკემბერს გამოცხადდა 141 ვაკანტურ თანამდებობაზე.

რამდენი კონკურსანტი იყო დარეგისტრირებული?

გამოცხადებულ კონკურსში 817 განაცხადი იყო შემოტანილი, საიდანაც საბუთების გადარჩევის ეტაპი 798 კანდიდატმა გადალახა. ტესტირების ეტაპზე მონაწილეობა 307 კონკურსანტმა მიიღო, საიდანაც დადგენილი ზღვარი 211 კონკურსანტმა გადალახა.

საინტერესოა ტესტირების შეფასების რა კრიტერიუმებზე იყო საუბარი...

საერთოდ, ტესტირების მეთოდით განისაზღვრება ტესტირების ჩატარების პროცედურები. ტესტირების მიზანი კი მონაწილის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებაა. ტესტირების პირველი ნაწილი მიმართული იყო მონაწილის ცოდნის შესაფასებლად, ხოლო მეორე ნაწილი უნარ-ჩვევების დასადგენად. ტესტი წარმოადგენდა კითხვას ოთხი სავარაუდო პასუხით. სწორი პასუხი ფასდებოდა 1 ქულით, არასწორი პასუხი - 0 ქულით. ტესტის შეფასებისას მაქსიმალური ქულა 60 იყო. კონკურსანტს ტესტირების ეტაპის გადასალახად 31 ქულა უნდა დაეგროვებინა.

რაც შეეხება გასაუბრებას, აქ რა კრიტერიუმები იყო გათვალისწინებული?

ეს იყო ზეპირი გამოცდა, რომელიც ჩატარდა კონკურსანტის პირადი, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით, როგორც: კვალიფიკაცია, მოტივაცია, კომუნიკაბელურობა, კონფლიქტების და სტრესული სიტუაციების მართვა, გუნდური მუშაობის უნარი და ა.შ. ამ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 204 კონკურსანტმა, საიდანაც 108 კანდიდატი იქნა წარდგენილი ვაკანტურ ადგილზე დასანიშნად, ხოლო 96 კანდიდატს წარდგენაზე უარი ეთქვა.

რას იტყვით საპრეტენზიო კომისიის მუშაობაზე?

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილების მე-15 მუხლის შესაბამისად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის 2014 წლის 8 დეკემბრის ბრძანებით კონკურსის პროცედურებთან და შედეგებთან დაკავშირებით, პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნა საპრეტენზიო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც არიან: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ზურაბ კავთაშვილი - თავმჯდომარე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოდან ჭაბუკა ჭანტურია - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსი ჯაბა რევაზიშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოდან მველუდ დუხიძე, ალექსანდრე მეზრიშვილი - კომისიის წევრები.

კომისიის თავმჯდომარის ზურაბ კავთაშვილის განმარტებით: - კომისიამ მუშაობა გასაუბრების შემდეგ, 11 მარტიდან დაიწყო. კომისიაში შემოტანილი 22-ვე განცხადება საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების მიზნით გადაეგზავნა საკონკურსო-საატესტაციო კომისიას. მათი განხილვის შემდეგ 22-ვე განმცხადებელმა პასუხი კვლავ უარყოფითი მიიღო.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სსლოა



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24 აპრილის მორიგ სხდომას ამავე მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შრიდონ ბურღული უძღვებოდა. სხდომის დღის წესრიგის განცხადების შემდეგ დღის წესრიგის პირველ საკითხზე "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 26 დეკემბრის №76 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა თინათინ აბაილაშვილმა (მომხსენებელი საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ნიკოლოზ ვაჭრიშვილი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილებების შეტანა გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №39 განკარგულებით და მთავრობის 2015 წლის 12 მარტის №506 განკარგულებით მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შემოსულობების 3310994 ლარით და გადასახადების 3463081 ლარით გაზრდა.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე "საგარეჯოს მოსახლეობის სოციალური დახმარების 2015 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 თებერვლის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მოხსენება გააკეთა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსმა სოფო შატაშვილმა (თანამომხსენებელი ნ. ვაჭრიშვილი). როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილების შეტანა გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების პროგრამიდან 9 მაისის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სამამულო ომის ვეტერანებისათვის დამატებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფულადი დახმარების 100 ლარის ოდენობით თანხის გაცემის გამო.

მესამე საკითხზე "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ" მოხსენება გააკეთა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა ხათუნა ყორღანაშვილმა (თანამომხსენებელი ნ. ვაჭრიშვილი).

სხდომაზე განხილულ იქნა დღის წესრიგის მომდევნო საკითხები: საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოგასამართი სადგურის მქონე კომპანიიდან გადაუღებელი აუცილებლობით გამოწვეული 2015 წლის მაისის თვის საწვავის 6230 ლიტრი ვერორეგულარის გამარტივებული შესყიდვის განხორციელების შესახებ (მომხსენებელი გამგეობის შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნიკოლოზ ბუზარიაშვილი), "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის სატუმბო სადგურების, მაგისტრალის მოწყობის და გამრიცხველანების პროექტირების დაფინანსების შესახებ (მომხსენებელი გამგეობის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ბაბა ვაიჭიშვილი), "საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების სპარეტიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (მომხსენებელი გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის, ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი ბიორგი ყორღანაშვილი).

დამატებებმა დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ, მეორე და მესამე საკითხებზე დასვეს მომხსენებლების წინაშე კითხვები, მიღებული პასუხების ირგვლივ ისაუბრეს, იმსჯელეს და თითოეულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

გალე რწყვის სეზონი დაიწყო

ჩვენი მხარის მთავრობამ და ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ჩვენი მასშტაბით სარწყვამი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოს. პროექტი, რომელიც 11 ათასი ჰექტარის მიწის ფართობის დამატებით სრულყოფილად გასარწყვამი ითვისებას, უკვე სრულიყოფა. მიმდინარეობს იმ სარწყვამი სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც ათწლეულებია არ ჩატარებულა. გალე პარს რწყვის სეზონი მოგვამდგება. მართალია, დღესდღეობით ამ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ინტეგრირებული არ იქნება სარწყვამი სისტემის დამატებითი მდგრადი მართვა. გალე რწყვის სეზონი მოგვამდგება. მართალია, დღესდღეობით ამ სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, მაგრამ ინტეგრირებული არ იქნება სარწყვამი სისტემის დამატებითი მდგრადი მართვა.



გიონული მმართველობის სისტემა და მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით სერვის-ცენტრები დაექვემდებარა კახეთის რეგიონს, სადაც სულ 4 სერვის-ცენტრი, რომელთა შორისაცაა ჩვენი „ქვემო სამგორის სერვის ცენტრი“.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე-ნაგებობა, რომელიც წყალს იღებს სიონის წყალსაცავიდან, მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყაროსთავის სამხრეთით ზღვის დონიდან 610-615 მეტრ სიმაღლეზე. სიონის წყალსაცავის საერთო მოცულობა კი 325 მლნ მ3 შეადგენს.

სათავე-ნაგებობამდე წყალსაცავიდან წყლის მიწოდება ხდება მდ. იორის კალაპორტით, (რომელიც დარეგულირებადია წყალსაცავით). მდინარე იორი საზრდობს: თოვლის, წვიმის, გრუნტის, შემონადენი და ჩამონადენი წყლებით, რომლის სიხვეც დამოკიდებულია მთელი წლის მანძილზე მოსული ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე. გაზაფხულზე, ანუ ამ მომენტისთვის, ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 40-47 %, რაც ამაჟამად ინტენსიურად დასასრული მი-3 გვირგვინს

მალე რწყვის სპონი ღაინყუბა

ღასასრული

მიმდინარეობს.

სარწყავი სისტემისათვის წყლის მიწოდება ხდება დაბალწნევიანი ბეტონის გრავიტაციული წყალსაცავიანი კაშხალით მარჯვენა და მარცხენა მაგისტრალური არხების წყალმიმღებებით თავისი ფსკერული გამრეცხებით.

სოფელ პაღლოს სათავე-ნაგებობებიდან ხეობაში გადმოღინებული წყალი გზადაგზა იხარჯება როგორც ტრანსპორტირებაზე, სახანა-სათესი მიწების გასარწყავებაზე, სოფელ ხაშის მაგისტრალური არხის წყალმომარაგებაზე, ასევე ხეობაში არსებული თევზის სატბორე მეურნეობაზე და ბოლო წლებში ამუშავებულ ქვიშის კარიერებზე.

ორივე მაგისტრალურ არხზე დამონტაჟებული სტაციონალური სატუმბო სადგურები (პირველადი, მეორე და მესამე აწვეითაც კი) ასარწყავებდა როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო სექტორის საკარმიდამო, მამა-პაპისეულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულს.

მარცხენა მაგისტრალური არხი ორი სატუმბო სადგურის მეშვეობით მარაგდებოდა დრენაჟისა და გრუნტის წყლებით, ასევე მარჯვენა მაგისტრალის გამანაწილებელი - 33, რომელიც ემსახურება ახერბაიჯანელებით დასახლებულ ქართულ სოფლებს. ბოლო ორი ათეული წლების პროცესებმა: ელ. ენერჯის უქონლობის, მისი გაძვირების, ელექტრო და სამელიორაციო კომუნიკაციების გაძარცვამ, ისევე ურწყავი მიწების კატეგორიაში გადაიყვანა

8-9 ათასი ჰექტარი მიწების გასარწყავებული ფართობები, რომელთაც 24 სატუმბო სადგური ემსახურებოდა. როგორც ყოველ წელს, ამჟამადც მიმდინარეობს მაგისტრალურ არხებზე წყალგამშვები სარეგულაციო ფარების სარემონტო სამუშაოები. ორივე მაგისტრალურ არხზე დამონტაჟებული 105 ცალი სხვადასხვა ზომის ფარები არის ჩამატებული და სიფონის წყალგამშვები. ამასთან სათქმელია ისიც, რომ გულსატკეპნია წყალმომხმარებელთა უფაირათო დამოკიდებულება აღნიშნულთან. სულ რაღაც ხუთი-ექვსი ნაწილისგან შემდგარ წყალგამშვებ ფარებს ხშირად სხვადასხვა დაზიანებებს აყენებენ. არის შემთხვევები მთლიანად მომტერვეის ან მოგლეჯის და საერთოდ განადგურების. მინდა გითხროთ, რომ ერთობ შრომატევადია ელ. შედგენებისა და ჩაჭრის სამუშაოები, რომლებიც გარკვეულ ვადებს და გარკვეულ თანხებს მოითხოვს.

გასული წლის სავებეტაციო რწყვის შემდეგ დავიწყეთ დიდი მოცულობის წმენდითი სამუშაოები მარცხენა მაგისტრალურ არხზე. გაიწმინდა კატრეთის ზონის სოფლების 4.8 კმ-იანი მონაკვეთი. ამჟამად იწმინდება სოფელ შიბლანში გამავალი მონაკვეთი. ასევე, დამთავრებულია სოფლების მანავის და თოხლიაურის 3.4 კმ-იანი მონაკვეთი. ჩამატებულია ლითონის მილი 45-ე კმ-ზე კატრეთის ზონაში, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის წყლის გატარებას მაგისტრალურ არხზე. მარცხენა მაგისტრალური არხის გ-42-ის წმენდითი და აღდგენითი

სამუშაოები დამთავრებულია მე-13 კმ-ზე. ორ ათეულზე წელზე მეტია ელ. ენერჯის უქონლობით ამწვეი მექანიზმების არა-დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო ვერ ხერხდებოდა ქვედა ბიუფის ფსკერული ნატანისაგან გაწმენდა. ამჟამად კომპანიის მიერ ელენერჯის საკითხი მოგვარებულია.

განსხვავების ზოლი არხის ღერძიდან ორივე მხარეს 50 მეტრია, რაც მითვისებულია მოსახლეობის მიერ. ზოგ-ზოგ ადგილებში საექსპლუატაციო გზის მონაკვეთებიც კი აღარ არსებობს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ფართობი საჭიროა არხების აღდგენითი და წმენდითი სამუშაოების მექანიზმებისა და ავტოტრანსპორტის სამომაროდ.

გასულ წელს, მიუხედავად ძლიერი გვალვისა, წყალმომხმარებელთა ძირითადი ნაწილი სარწყავი წყლით წყალუზრუნველყოფით. წინა წლებთან შედარებით გასარწყავებული ფართობი თითქმის გაორმაგდა. ამჟამად მიმდინარეობს მარცხენა მაგისტრალური არხის გ-9-ის, თავის პირველ და მეორე რიგის გამანაწილებლების სარეაბილიტაციო აღდგენითი სამუშაოები.

ასევე, მარჯვენა მაგისტრალური არხის გ-3-ის, გ-4, გ-5-ის აღდგენითი სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს წყალგამშვები ფარების სარემონტო სამუშაოები მთელ პერიმეტრზე.

შედგენილია რეაბილიტაციის პროექტი მარჯვენა მაგისტრალური არხის პიკეტი 0+00-დან, 244+20-მდე (ე.ი. 24 კმ-ზე), რაც უახლოეს წლებში განხორციელდება. ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ხარჯზე

მკვეთად გაიზრდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გასარწყავებული ფართობის საექტარო მაჩვენებლები.

სოფლის მეურნეობის სავარგულო საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურის მონაცემებით შარშანდელთან შედარებით საშემოდგომო ნათესები თითქმის 50%-ს შეადგენს. ნათესებს, როგორც იტყვიან, კარგი პირი უნანს როგორც სარწყავ, ასევე, ურწყავ ფართობებში. ჭარბმა ნალექებმა შეაფერხა საგაზაფხულო კულტურებისათვის ნიადაგის მომზადება დასათესად. მოსალოდნელია თესვის ვადების გადაწვევა.

მხენელ-მთესველებმა კარგად იცნა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის დროულ მომზადებას და თესვის კონდიციის საექტარო ნორმირებული მოსავლის მისაღებად.

ბოლო ორი ათეული წლების მანძილზე აღარ არსებობს ე.წ. ადგილი თესვარუნვაში. ამა თუ იმ ფართობზე მორიგეობს მხოლოდ საშემოდგომო და საგაზაფხულო კულტურები, იშვიათად ბალჩული - სახამთროს ბაღები. ღვინდებოდა წყალსარგებლობის გეგმები, ამა თუ იმ გამშვების და მათზე მიმარებულ ფართობებზე კულტურების მონაცვლეობის მიხედვით. შარშანდელ გვალვიან წელს სიმინდის მე-3, მე-4 რწყვის პერიოდში დაიწყო მრავალწლიანი ნარგავის - ვენახების რწყვა. თუ არა ჩვენი ძალისხმევა, ვერ დავაკმაყოფილებდით წყალმომხმარებელთა მოთხოვნას სარწყავ წყალზე. მზარდად ვენახების განაშენიანების საექტარო მაჩვენებლები.

მინდა ვთხოვო ჩვენს მოსახლეობას, მოეუფროხილდეთ სარწყავ ქსელებს და ნორმის ფარგლებში მოვიხმართ სარწყავი წყალი.

ვიცნობდეთ ჩვენს მიწა-წყალს ნაპრძალი და ალკოვითილები



თუ რა მდგომარეობაა სადღეისოდ აღნიშნულ ნაკრძალსა და ალკოვითილებში, ფლორის და ფაუნის რა სახეობები შემოგვრჩა და რა სახეობებს შეიძლება შევხვდეთ იქ, როგორ არიან ისინი დაცულნი ადამიანთა ხელყოფისგან, ამ და სხვა საკითხების შესახებ გვესაუბრება **მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ბუნებრივი რესურსების მართვის მთავარი სპეციალისტი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ზაზა ტიბიძე**.

– ბატონო ზვიად, ჩვენი საუბრის ძირითად თემაზე გადასვლამდე, ალბათ, ურიგო არ იქნებოდა ორიოდ სიტყვით გაგვხსენებინა ჩვენი დაცული ტერიტორიების შექმნის ისტორია, ის, თუ რა გზა გამოიარა თითოეულმა მათგანმა მათი დაარსებიდან დღემდე.

– მოგეხსენებათ, რომ საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე, ტყეები და მათ შორის მარიამჯვრის სახელმ-



შენახვა. 1944 წელს სავარგულო სატყეო მეურნეობა გამოეყო თბილისის სატყეო მეურნეობას, რომელშიც შედიოდა მარიამჯვრის ნაკრძალი. ნაკრძალი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, სავარგულო სატყეო მეურნეობას გამოეყო 1967 წელს და დაექვემდებარა სსრ მინისტრთა საბჭოს ნაკრძალებისა და სამონასტრო მეურნეობის მთავარი სამმართველოს ყორულის სამონადირეო მეურნეობის გამგებლობას.

1980 წლის თებერვალში მარიამჯვრის ნაკრძალი შეუერთდა სავარგულო სახელმწიფო ნაკრძალს, 1988 წელს კი კვლავ გადავიდა ყორულის სატყეო კომპლექსის მეურნეობის დაქვემდებარებაში.

რაც შეეხება იორის ალკოვითის შექმნის ისტორიას, მას საფუძველი დაედა 1962 წლის დეკემბერში, როცა იორის ხეობაში განლაგებული ჭაღის ტყე-ბუჩქნარები გადაეცა სახელმწიფო ტყის ფონდს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 თებერვლის დადგენილებით საქართველოს ტყის ფონდში წარმოდგენილი "ალანდარა" იორის სახელმწიფო ალკოვითისა და ყორულის საცდელ-საჩვენებელი სახელმწიფო სატყეო სამონადირეო მეურნეობა, ცოტა მოგვიანებით კი ეს მეურნეობა დაიყო სამ მეურნეობად: ყორულის, იორის და ჭაჭუნას სახელწოდებით, რომლის საერთო ფართობები 1416 ჰა-ს შეადგენდა.

აღნიშნული მასივებიდან 1983 წლის ივლისში დაღის მთის წყალსაცავის მშენებლობას გადაეცა 118 ჰექტარი ფართობი,

სახელწოდება "ყორულის სახელმწიფო ალკოვითი" და "იორის სახელმწიფო ალკოვითი" – სატყეო სამონადირეო მეურნეობებს მიენიჭათ "ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს 1996 წლის კანონის შესაბამისად.

2008 წლის იორის სახელმწიფო ალკოვითი სამართავად გადაეცა ყორულის ალკოვითისა და მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციას. დღეის მდგომარეობით ჩვენი, მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია მოიცავს სამივე აღნიშნულ დაცულ ტერიტორიას – მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალს, ყორულის და იორის სახელმწიფო ალკოვითს.

– ჩვენი საუბარი მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალისა და იქ გავრცელებული ბუნების იშვიათობით – კავკასიონის (სო-სანოვსკის) ფიჭეთა დაფიჭეთ. სადღეისოდ როგორ არიან ისინი წარმოდგენილი და რაიმე საშიშროება ხომ არ ემუქრება მათ გადაშენებას?

– მარიამჯვრის ნაკრძალში ფიჭვი გავრცელებულია მთელს ტერიტორიაზე, როგორც კორუმების, ასევე ბიოჯგუფების სახით ზღვის დონიდან 800-1800 მ-ზე და იკავებს 263 ჰა-ს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაკრძალში წარმოდგენილია კავკასიური ფიჭვის იშვიათი ფორმები, კერძოდ: პირამიდული, ოვალური, ქოლგისებრი და კომპაქტური. აღნიშნულ ფორმებს ანალოგი არათუ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არ მოეპოვება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული ფორმები პირველად შეინიშნა და გამოეყო ჩვენმა სასიკადულო მამულიშვილმა, მსოფლიოში სატყეო ხელექციის ერთ-ერთმა პიონერმა, საზოგადო მოღვაწემ სოლომონ ქურდიანმა. ფიჭვები გავრცელებულია ყველაზე ქსეროფიტულ ნიადაგებზე, ზოგან კი მდინარეების, რიყეების გატყვევების პიონერებადაც გვევლინებიან, რისი საუკეთესო მაგალითია ანთოკის ხევი.

ბაბრძალაშვილი გ.გ. ბებრძალა

თაშისი განსაკუთრებული ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და პირობები საუკუნეთა მანძილზე ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა ჩვენს მუნიციპალიტეტში ბუნების, მისი ფლორის და ფაუნის მრავალსახეობის ჩამოყალიბებას. მართალია, ბუნებრივი პროცესების განვითარებაში ადამიანის ხელის ჩარევამ გარკვეული დადი დაასვა მის შემდგომ განვითარებას, გაანადგურა და გადაშენების პირამდე მიიყვანა მისი ბევრი ეგზემპლარი, მაგრამ დღეის წყალობით დღემდე კიდევ შემორჩა ისეთი კერები, რომელთა გონივრული მართვისა და გამოყენების პირობებში, ჯერ კიდევ შესაძლებელია ბუნების უნიკალური, იშვიათობად ქცეული სახეობების გადაშენებისგან ხსნა და შემდგომი აღორძინება. კერძოდ, ესენია **მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალი** და **ყორულისა და იორის ალკოვითილები**, რომელთა მონიტორინგსა და მართვას ახორციელებს საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს **მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია**.



წიფო ნაკრძალის ტყის მასივები მემამულეთა კერძო მფლობელობაში იყო. მარიამჯვრის ნაკრძალი, როგორც ასეთი სუბიექტი, დაარსდა 1935 წელს საქართველოს მაშინდელი ცეკას დადგენილებით და შედიოდა თბილისის სატყეო მეურნეობის გამგებლობაში, სავარგულო სატყეო მეურნეობის შემადგენლობაში. ნაკრძალის გამოყოფის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კავკასიის რელიქტის, - კავკასიური ფიჭვის (ლენისოვის ფიჭვის) ფორმათა წარმოქმნის იშვიათი მასივის კერის დაცვა და

ახალბაზრდა სპეციალისტები

ბანაილება

გაუბედავი ნაბიჯებიდან პროფესიონალობამდე



ჩვენ გვყავს ახალბაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც თავიანთი ნიჭითა და ბარკვეული კალისხმევის შედეგად ბარკვემომოყვრთა სიყვარული და ნდობა დაიმსახურეს. ვფიქრობთ, კარგი იქნება, მათი ჩვენი საზოგადოებისათვის წარდგინებას. დავიწყოთ ახალბაზრდა მასწავლებლებიდან – დავლი ოსეაშვილიდან, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალბაზრდა-ჯანაძეს ქართულ ენას ასწავლის.

ახლობლური ურთიერთობა დამყარდა ჩემსა და სოფელს შორის, რომელიც დღემდე გრძელდება და იმედია, ასე გაგრძელდება მუდამ.

სამწუხაროდ, სოფელში ჩემი ყოფნა ხანმოკლე აღმოჩნდა - ორი წლის შემდეგ პროგრამის ფარგლებში გამაგზავნეს სოფ. იორმუდანლოს "ქართული ენის სახლში" ტრენერ-მასწავლებლად.

ამ პერიოდში, 2013 წელს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნით მომიწია კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში ეთნიკური აზერბაიჯანელი სამხედრო მოსამსახურეების მომზადება. მათ გაიარეს ოთხთვიანი ქართული ენის შემსწავლელი კურსი. ნაწილის სარდლობასთან ერთად დაიგეგმა

და განხორციელდა არაერთი ღონისძიება.

2014 წლიდან ვარ ქართული ენის ტრენერ-მასწავლებელი იორმუდანლოს საჯარო სკოლაში. ამავე წელს წარმატებით გავიარე სკოლის დირექტორთა შესარჩევი კონკურსი... სულ ახლახანს კი გავხდი ქართული ენათმეცნიერების დოქტორანტი... იმედია, მომავალში ქართულ ენათმეცნიერებაში პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან წვლილს შევიტან.

ყველაფერ ამის მიღწევაში მეხმარება და დიდ სტიმულს მაძლევს ჩემი ოჯახი. თითოეული წვერი ყველანაირად ცდილობს შემიმჩნას ისეთი გარემო, სადაც თავს კომფორტულად და მშვიდად ვიგრძნობ.

არ შემიძლია არ აღვნიშნო და არ ვახსენებ

ნო ის ადამიანები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო და გამორჩეული მადლობა გადავუხადო ბატონ არჩილ ჯაბადარს. რომ არა ის, მე ამდენს ვერ მივალწვედი... წლების მანძილზე გვერდით მიდგას, მაძლევს ძალიან ობიექტურ და მიზანმიმართულ რჩევებს; ჩემი მოძღვარი, მამა გიორგი (პავლოვი) რომლის ლოცვა-კურთხევა მაძლიერებს და მბატებს რწმენას და იმედს, რომ მე მაღლიან საქმეს ვაკეთებ.

ძალიან მეხმარება სკოლის ადმინისტრაცია. ჩემი ნებისმიერი იდეისთვის და აქტიუობისთვის სათანადო მხარდაჭერას და თანადგომას ვიძლე.

მოსწავლის "შეფასება" (სტილი დაცულია):

2014-2015 სასწავლო წელი რომ დაიწყო, ჩვენ ზოგიერთი საგნის მასწავლებელი შეგვიცვალეს. ერთ-ერთი იყო დალი მასწავლებელი. პირველად რომ გავიცანი, დალი მასწავლებელი "ბოროტი" გვეგონა, მაგრამ ასე არ ყოფილა... ის მეგობრული და საამართლიანო. ხანდახან მკაცრი, ხანდახან სასაცილო.

ჩვენ ხშირად ვწერთ ტესტებს, შემაჯამებულ წერებს და ახლა უფრო კარგად ვსწავლობთ ქართულ ენას.

ვილაიეთ მამედოვი VIII კლასი/

"მე მიყვარს დალი მასწავლებელი. როგორც ვხვდავ, სამართლიანი ადამიანია. გაკვეთილებს ძალიან კარგად გვიხსნის და კიდევ ბევრ საინტერესო ამბებს გვიყვება. მე იმედი მაქვს, რომ ჩემს კლასელებსაც უყვართ დალი მასწავლებელი. ის ყოველდღე შორი მანძილიდან მოდის ჩვენთან" / მუსა შამბათოვი. IX კლასი/

"მე დალი მასწავლებელი წელს გავიცანი. ის ჩემი მარტო მასწავლებელი არ არის-ის ჩემი მეგობარიცაა. დალი მასწავლებელი ძალიან გულბობილია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წელს ჩვენმა სკოლის დირექტორმა მას ჩვენი კლასი ჩააბარა."

/ ფატიმა შამბათოვა. IX კლასი /

„დალი მასწავლებელი 2011 წელს გავიცანი. დრო რომ გადიოდა ძალიან კარგად გავიცანი და საუკეთესო მეგობრები გავხდით. დალი ოსეაშვილი ძალიან კარგი მასწავლებელია და უზომოდ მიყვარს. მე როცა მოწყვნილი ვარ აინტერესებს ჩემი პრობლემები და მეხმარება მათ გადაწყვეტაში. მოკლედ, ჩემთვის ძალიან კარგი, კეთილი ადამიანია. უზომოდ მიყვარს" / რაფაელ ვეკილოვი X კლასი/

- 1992 წელს დავამთავრე საგარეჯოს № 4 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩავირიცხე სს ორბელიანის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე. პირველი კურსის დასრულების შემდეგ მუშაობა დავიწყე ქ. საგარეჯოს №5 არასრულ სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

2008 წელს მუშაობა განვაგრძე სოფ. იორმუდანლოს საჯარო სკოლაში.

ეთნიკურ აზერბაიჯანელებთან მანამდე არანაირი ურთიერთობა არ მქონდა. ოდნავი დაბნეულობა და სირთულეების "ვერდაძლევის" შიში მომეძალა...

2010 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. რესპუბლიკის მასშტაბით 11 მასწავლებელი უნდა აერჩიათ და საბუნდუნოდ გავხდი ამ პროგრამის "ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა"- მონაწილე. გადამანაწილეს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფ. აღმაშენებლის საჯარო სკოლაში... იქაც კიდევ ერთი "პრობლემა" - ერთადერთი ქართველი ვიყავი სოფელში.

თავდაპირველად ცოტა გამომეშინდა, მაგრამ შემდეგ ძალიან თბილი, გულდია და



ისინი საქართველოს უეაღლეს
სასწავლებელი ისწავლიან

ქართულის უკეთეს მასწავლებლებად

ელსეზარ კულიევი და აღმურაზ მასლოვი იორმუდანლოში ცხოვრობენ, მაგრამ ბადიაურის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან. მეშვიდეკლასელებს არ ეზარებათ დიდ გზაზე სიარული და სამი წელია იორმუდანლოს საჯარო სკოლის ქართული სექტორიდან ბადიაურის სკოლაში დაიწყეს სწავლა - უფრო მეტი შანსი გვექნება ქართულის კარგად სწავლის, - მითხრა ელსეზარმა, - მინდა კარგად ვისწავლო,

საქართველოში გავაგრძელო უმაღლეს სასწავლებელში სწავლა, ჩვენი სოფლიდან ან ბაქოში მიდიან სასწავლებლად ან რუსეთში, ქართული ენის ცოდნა კი აუცილებელია. სახლში დედა მელაპარაკება ქართულად - კაჭრეთის სკოლაში სწავლობდა ქართულ სექტორზე. სკოლაში ქართულს დარეჯან მეზვრიშვილი მასწავლის, ძალიან მომწონს ვაჟა-ფშაველას ლექსები. სხვა პოეტების ლექსებსაც ვკითხულობ ნელ-ნელა და სანამ სკოლას დავამთავრებ, ყველა საგანი ქართულ ენაზე მექნება მომზადებული. ჩვენი სკოლის მოსწავლეები, ჩვენი ამხანაგები ძალიან გვეხმარებიან, რომ ქართული ადვილად შევისწავლოთ.



ელსეზარ კულიევი



აღმურაზ მასლოვი

იორმუდანლოს
მოსწავლეები
ახალი სასწავლო
პროგრამის მოლოდინში

იორმუდანლოს საჯარო სკოლის ერთ-ერთი სასწავლო კორპუსი წლების განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სკოლა ჩვენი რაიონის მოსწავლეთა კონტიგენტის მიხედვით ერთ-ერთ მრავალრიცხოვან სკოლად ითვლება. ამიტომაც გახდა საჭირო მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის სხვა შენობაში გადასწავლა. და აი, მეორე სასწავლო წელია იორმუდანლოს საჯარო სკოლის მესამე, მეოთხე, მეექვსე და

დასასრული მე-5 გვერდზე



გაგიოზ ახმელოვი

იორგულანლოს მოსწავლეები ახალი სასწავლო პორტულის მოლოდინში



მეზღვიდელკლასელები ისტორიის მასწავლებელმა მაკა ეპიტაფილიტან ერთად

დასასრული

მეზღვიდელკლასელი მოსწავლეები დაქირავებულ შენობაში – იორგულანლოს ყოფილ საექიმო ამბულატორიის პატარ-პატარა ოთახებში განთავსდა.

– აქ 10 საკლასო ოთახია, – **მეზღვიდელკლასელების სასწავლო ნაწილის გამგე ვაზიზ ახმეილი**, რომელმაც ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1983 წლიდან გეოგრაფიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მცდელობა ორცვლად მიმდინარეობს და ეს პატარა შენობა 500-მდე მოსწავლეს იტევს. მალე მშენებლები ახალი კორპუსის მშენებლობას დაიწყებენ და 10 ახალ საკლასო ოთახში სექტემბრიდან გადავლენ. დაქირავებულ შენობაში გვეყავს ქართული და აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეები. ქართული ენის შესწავლის მიმართ დაინტერესებულები არიან ჩვენი მოსწავლეები. ენის შესწავლას ხელს უწყობს ასევე, ქართველ მოსწავლეებთან ურთიერთობა,

ენის ბარიერის დაძლევის ხელს უწყობს ქართველ მოსწავლეებთან ურთიერთობა, ენის ბარიერის დაძლევის ცდილობენ, ასევე აზერბაიჯანული სექტორის მოსწავლეებიც.

– ჩვენი საქართველოში ვცხოვრობთ და ქართული კარგად უნდა ვიცოდეთ, – მეზღვიდელკლასელები ელვინ ალმაზოვი, – ჩვენმა პირველმა მასწავლებელმა თეა გურგენიძემ ქართული ანბანი გვასწავლა, ახლა ქართულს ჩვენი დამრიგებელი გიორგი ვარდიანი გვასწავლის, მათემატიკას ნატო ბითაძე. ძალიან გვიყვარს მათემატიკა და ნატო მასწავლებელიც, ქართულს ენაზე სახლში პაპაჩემი, გეოგრაფიის მასწავლებელიც მესაუბრება ხოლმე. ვარ ფეხბურთელთა გუნდში და მწვრთნელ მაღსახ ნიუარაძესთან და გუნდის ფეხბურთელებთან ქართულად მიწვევს ლაპარაკი. ასე, რომ მალე ძალიან კარგად მეცოდინება ქართულ ენაზე საუბარი.

თუმცა, სიმართლე გითხრათ, იმ ოთხი მეზღვიდელკლასელიდან, რომლებიც ელვინთან ერთად გავიცანი ელვინი და ნასიბ ნასიბოვი ყველაზე კარგად, ოღონდ აზერბაიჯან-



მეზღვიდელკლასელები

ული აქცენტით მესაუბრებიან. ნასიბის მამას კარგად სცოდნია ქართული, რომელიც ქართველ მეზღვიდელკლასელებთან თანამშრომლობით შეუსწავლია და ისინი ნასიბისთვისაც გაუცნია. ამასთან, ნასიბიც ელვინთან ერთად ფეხბურთის ერთ გუნდშია, რაც ქართული ენის დაუფლებას უადვილებს. ასევე, კარგად მესაუბრებიან მათივე თანაკლასელები ქამრად ალიევი და ბახრამ კულიევი.

აზერბაიჯანული სექტორის მეზღვიდელკლასელები შახველად იბრაგიმოვი, ელვინი და ჯოშუგუნ მამედოვი, ვალ გუსეინოვი



დაქირავებული შენობა – სკოლა

ქვეყნის საუბარი

20-26 აპრილს საქართველოში, ისევე როგორც ევროპის რეგიონის სხვა ქვეყნებში ჩატარდა ევროპის იმუნიზაციის კვირეული. აღნიშნული კვირეული ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმ) ევროპის რეგიონული ბიუროს მიერ იყო ორგანიზებული და ის ყოველწლიურად ტარდება. მისი მიზანია მოსახლეობისათვის იმუნიზაციის პროგრამის მნიშვნელობის შესახებ და ინფორმირება. ევროპის იმუნიზაციის კვირეული ფოკუსირებულია დაავადებებზე, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციით არის შესაძლებელი (ე.წ. ვაქცინაციით მართვადი ინფექციები).

იმუნიზაცია კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა და ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის, სიბრძნის, ინვალიდობის, გონებრივი ჩამორჩენილობის და ჯანმრთელობის სხვა მძიმე დარღვევებისაგან. ვაქცინაციის შედეგია ის, რომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2002 წელს ევროპის რეგიონის ქვეყნები პოლიომიელიტისაგან თავისუფალ ზონად გამოაცხადა.

საქართველო, როგორც ჯანმრთელობის რეგიონის წევრი ქვეყანა, იმუნიზაციის კვირეულში მონაწილეობას იღებს 2007 წლიდან.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფოს ძირითადი პრიორიტეტია;

იმუნიზაცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში ყველაზე ეფექტურ ინტერვენციას წარმოადგენს;

ათასწლეულის განვითარების მიზნების მისაღწევად, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლისთვის ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის 2/3-ით შემცირებას, აუცილებელია მოსახლეობაში მაღალი იმუნური სტატუსის შენარჩუნება

იმუნიზაცია და კაცობრიობა

აღრებით მოცვის სათანადო მაჩვენებლის უზრუნველყოფით მართვადი ინფექციების მიმართ ვაქცინაცია ყოველწლიურად მილიონობით ბავშვს იცავს სიკვდილის და ჯანმრთელობის მდგომარეობის მძიმე დარღვევებისაგან.

ვაქცინაციის წყალობით დამარცხებულია ყვევილი, თითქმის განადგურებულია პოლიომიელიტი, მკვეთრად შემცირებული წითელაი, ცოფითა და წითურაი ავადობა. ამ ვირუსულ დაავადებებთან ერთად აღნიშნის ღირსია სხვა მიკროორგანიზმებით გამოწვეული დაავადებები - შავი ჭირი, ქოლერა, ტუბერკულოზი, დიფთერია, ტეტანუსი, ყივანახველა, ტულარემია, ჯილეხი - აი, არასრული სია დაავადებებისა, რომელთა ბრძოლაშიც გაიმარჯვეს ვაქცინებმა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყოველწლიურად 14 წლამდე ასაკის 12 მილიონამდე ბავშვი იღუპება. დაახლოებით 9 მლნ ბავშვი იღუპება ინფექციური დაავადებებისაგან, მათ შორის კი, 3 მილიონამდე ბავშვი, ანუ მესამედი – იმ ინფექციებისაგან, რომელთა პროფილაქტიკისათვის არსებობს ვაქცინა. მათ შორის, წითელაი გამოწვეული სიკვდილიანობაა 45,5%, პიბინფექციით - 23,4%, ყივანახველათი - 17%, ახალშობილთა ტეტანუსით - 11%; აცრების საშუალებით მოხდა ველური პოლიომიურის გამოწვეული დაავადების შემთხვევების აღმოფხვრა საქართველოში. ქვეყანაში ველური პოლიომიელიტის ვირუსით გამოწვეული ბოლო ადგილობრივი შემთხვევა აღრიცხული იქნა 1992 წელს, ხოლო შემოტანილი შემთხვევა - 2001 წლის

ბოლოს. 2002 წელს ევროპის რეგიონი და მათ შორის საქართველო სერთიფიცირებული იქნა როგორც პოლიომიელიტისგან თავისუფალი ტერიტორია. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ევროპის ტერიტორიაზე სხვა რეგიონებიდან ვირუსის შემოტანის რეალური რისკი. ამის თავალსაწინაო მაგალითია 2010 წლის ველური პოლიომიელიტის ეპიდემიოტექვა ტაჯიკეთში, რომელმაც 500-მდე ინვალიდობის და 29 გარდაცვალების შემთხვევა გამოიწვია.

დროულად ჩატარებული აცრები ვაქცინაციით მართვადი დაავადებების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. პროფილაქტიკური აცრები ხელს უწყობს ბავშვის იმუნიტეტის (თავდაცვის უნარის) ჩამოყალიბებას კონკრეტული დაავადების მიმართ. მშობელმა უნდა იცოდეს რატომ, როდის, სად და რამდენჯერ უნდა აიცრას ბავშვი.

სახელმწიფო უზრუნველყოფს 12 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ებაყურას, წითურას, წითელას, ბ-ჰეპატიტის, როტავირუსული, პნემოკოკური ინფექციების და ბ-ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცას საწინააღმდეგო ვაქცინაციას.

იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ხუსტად დაიცვათ აცრების კალენდარი – სრულყოფილად და რაც მთავარია, დროულად ჩაუტაროთ აცრების კურსი. ამ შემთხვევაში ბავშვი დაცული იქნება იმ ინფექციური დაავადებებისაგან, რომლის წინააღმდეგაც აცრები ჩაუტარდა. ექიმთან ერთი ვიზიტის დროს რამდენიმე აცრა ერთდროულად

მოდერნიზაცია

კეთდება, ეს ხელს უწყობს აცრების კურსის დროულად დამთავრებას, რაც თავის მხრივ ზრდის ვაქცინაციის ეფექტურობას.

დაუშვებელია აცრების გადავადება ისეთი ცრუ უპყვენებების გამო, როგორცაა გაციება, ხველა, სურდო, ალერგია, ქრონიკული დაავადებები და ა.შ. იმუნიზაციის შემდეგ განვითარებული არასასურველი მოვლენები იმდენად უმნიშვნელოა დაავადებისა და მისგან გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან შედარებით, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა და ეფექტურობა უდაოა. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივად დროულად ჩატარებული ვაქცინაცია ამცირებს აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების ალბათობას.

თანამედროვე ვაქცინები უსაფრთხოა, თუმცა ყველას აქვს იმუნიზაციის შემდეგ არასასურველი მოვლენების განვითარების იშვიათი რისკი. აღსანიშნავია, რომ ასაკობრივად დროულად ჩატარებული ვაქცინაცია ამცირებს აცრის შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარების ალბათობას.

აცრის შემდეგ 1-3 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურამ შესაძლოა მოიმატოს 38,5°C-მდე. შეინიშნებოდეს ზოგადი აზნებადობა, აცრის ადგილის შეწითლება, შეშუპება და მტკივნეულობა. ეს ორგანიზმის ბუნებრივი რეაქციაა და მის ჯანსაღ იმუნურ სისტემაზე მტკივნეულებს. აცრის შემდგომ არასასურველი მოვლენების განვითარების შემთხვევაში, მშობელმა აუცილებლად უნდა მიმართოს ექიმს.

დასასრული მე-6 გვერდზე

იუბილე - 70

„მობრკალებული ლექსებით“ მკითხველთა გულგებისაკენ



ფოლკლორი

ფოლკლორი ერის სულიერებაა, ერის უკვდავებაა საუკუნეთა წიაღში აღმოცენებული და გაფურჩქნული.

ფოლკლორი ის წყაროა, რომელიც არასოდეს არ უნდა დაიშრის. ამ წყაროს გაწმენდა, გარუება ესაჭიროება, რათა თავისი ფუნქცია პირნათლად შეასრულოს.

ასეთ თვალმარტივად მთლიანი ერის უნდა დაუდგეს ერთგულ მეციხოვნედ. ეს აუწერელი სიმდიდრე დევიდან და წინაპართაგან გადმოგვცემს, რომლის დაკნინება და გაღარბება არასდროს არ შეიძლება.

ფოლკლორი ერის ფასდაუდებელი აკვანია დიდი გულისხმიერებით დარწმუნული და აქამდე მოღწეული.

ფოლკლორი სკივრია, რომელშიც იშვიათი განძი ინახება. თვალის ჩინივით უნდა გაეფურთხილდეთ ამ დედაბოს და ჩვენი კულტურის ძირითად საყრდენს, რომელსაც საუკუნეები გამოუვლია, აქამდე მოსულა და დღესაც პირნათლად ასრულებს თავის არაჩვეულებრივ მოვალეობას.

ჩემი მცირე შემოქმედება ქვეყნის დიდ სამსახურში უნდა ჩამეყენებინა, არ ვიცი რამდენად შეეძლება ეს ბავშვობისდროინდელი დაპირება ერისა და სამშობლოს წინაშე.

დადლილ მეციხოვნესავით შევცქერო

შალვა ოკინაშვილს კარბად იცნობს ჩვენი ბაზეთის მკითხველი. შრომადი ბამოზრდილი, თავისი ალალმართლობითა და საქართველოს, ნინოწმინდის სიყვარულით ანთებული კაცი ჯერ მორიგებით შემოგაპარებს თავის ნაწიქრალ-ნააზრებს, შემდეგ კი ბრძნობ, რა დიდი ზირისუფალი ჰყავს საქართველოს, ჩვენს მიწა-წყალს, თითოეულ ადამიანს შალვას სახით... შალვას 26 აპრილს 70 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ იუბილეს და დილაშემოკარულ, უძილო ღამეებში ძაღალღს ბანდობილ მის სათქმელს ბთავაზობთ.

ჩემი ქვეყნის ფირუზისფერ ცას, რომლის უსაზღვრო სიყვარულით დამაჯილდოვა უფალმა.

სამშობლოს წინაშე უფალად უნდა წარსდგეს ამ ქვეყნად მოვლენილი ადამიანი, რათა მის მოსვლას მოსვლა ერქვას და არსებობას-არსებობა.

ლექსებისა და რითმების გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია, რომელთაც ვესიყვარულები და ველოლიაგები მთელი წუთისოფელი.

ქართული დამწერლობის დიდ ნიადაგზე სოკოსავით ამოზრდილა და ამოზრცულა ჩემი მოკრძალებული ლექსწერა, რომელმაც ჟამთასვლის მრისხანე გამოცდები პირნათლად უნდა ჩააბაროს და გამარჯვებული ეახლოს ამ გულგატეხილ შემოქმედს, რამეთუ : „ნიჭი ნაკადულს წააგავს, სადღაცას გამოუონავს.“

ქართულ ლექს

ლექსო, ვერ დაგთმობ ტილო, ჩემის ცოცხალი თავითა, ვერ გავიღვიძებ უშენოდ, ვერც დავიძინებ ღამითა.

გული დულს, სული მდიდრდება მაგ შენი კილოკავითა, ერთგულ დარაჯად გვახელ, ვერ მიგატოვებ წამითა. მიყვარს რითმათა ჭიდილი, თავს ვინუგებ ამითა, ქართული ენის სიმდიდრით, ასოთა სიკოხტავითა.

ქებათაქება

ყველაზედ ფაქიზს, ყველაზედ ღამას ყველაზედ დიადს უწოდებს ქალი, ყველაზე წმინდად ამ ცისქვეშეთში ქალმა იხადა სამშობლოს ვალი. ასეთ დეოთაბრძენს, ასეთ მიმზიდველს ვერ იხილავდა ვერასდროს თვალი, არ იქნებოდა კაცობრიობა, რომ არ შეეკმნა შემოქმედს ქალი. თუ ბედმა შენთან მოსვლა ისურვა, დაუყოვნებლივ გაუღე კარი, აუცილებლად უნდა უყვარდეს, უნდა იწამოს ვაკაცმა ქალი. დროში, სივრცეში, სიანკარეში ვინც წარუშლელი დატოვა კვალი, თვით ერმა უნდა მუხლი უყაროს, თვით ერმა უნდა აღმერთოს ქალი. თავად მნათობს და თავად მოქარგულს, სამკაულები რაში სჭირდება? ქალიდან იღებს მუდამ სათავეს ამქვეყნიური ყველა დიდება. და ფიანდაზი თუკი არსებობას, ქალს დაუფინეთ კრძალვით, რიდებით, ქალის გარეშე მშვენიერებას ვერ ავხსნით და ვერც დავაკვირდებით.

გასულ ზაფხულს გაგანია სიცხეში, ვაჯას პროსპექტზე დავეშვი. ჩემს წინ სტუდენტების დიდი ჯგუფი მიდიოდა, ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ქალებს აღმერთებდნენ და აღიღებდნენ, კარგა ხანს ვდივ, აბა ქართველ ქალს როგორ დაასურათებენ-მეთქი, საზუბუროდ ქართველი ქალის ხსენებაც ვერ გავიგონე. ეს ლექსი

შეხვედრა მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული საკრებულოს წევრებთან

საქართველოში და მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტშიც უნდა შეიქმნას ახალგაზრდული საკრებულოები, რომლებიც არსებული საკრებულოების პარალელურად იმუშავენ და იფუნქციონირებენ. ამასთან დაკავშირებით 22 აპრილს საგარეჯოს სტუმრობდნენ პროექტ „ადამიანი, კანონი, თავისუფლება“ კოორდინატორები, რომლებიც შეხვედრენ იმ შერჩეულ 36 ახალგაზრდას, ვისაც მომავალში მოუწევს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ საკრებულოში მოღვაწეობა.

პროექტის კოორდინატორებმა შეხვედრაზე შეკრებილთ დეტალურად გააცნეს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი და ამ კანონიდან გამომდინარე ის მიზნები და ამოცანები, რომელთა შესრულებაც მათ მოუწევთ თავიანთ საქმიანობაში, ესაუბრნენ

ახალგაზრდული საკრებულოების მუშაობის სტილზე, მეთოდებსა და ფორმებზე, რომლებითაც მათ უნდა იმუშაონ მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად.

შეხვედრაზე დაისახა მომავლის მიზნები და ამოცანები. პასუხი გაეცა ახალგაზრდების მიერ დასმულ შეკითხვებს. გადაწყდა, რომ მორიგ შეხვედრაზე მოხდება ახალგაზრდული საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნები, ჩამოყალიბდება ახალგაზრდული ჯგუფები, რომლებიც გაერთიანდებიან სხვადასხვა კომისიებში.

შეხვედრას ესწრებოდა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე შალვა პრინაძე**.

გივი ლაკახიშვილი



ქიზის საუბარი

დასასრული

საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება მხოლოდ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდებული და სერთიფიცირებული ვაქცინები. აქედან გამომდინარე, ყველა ვაქცინა, მიუხედავად მწარმოებელი ქვეყნისა და/ან კომპანიისა, გამოირჩევა მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებლით. ქვეყანა განაგრძობს ახალი ვაქცინების დანერგვას პროფილაქტიკური აცრების ეროვნულ კალენდარში. 2014 წელს დაიწყო იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, რომელიც იცავს ბავშვს პნევ-

იუნიზაცია და კაცობრიობა

მადრიცინა

მოკოკით გამოწვეული ისეთი სერიოზული დაავადებებისაგან, როგორცაა პნევმონია, მენინგიტი, ბაქტერიემია, სეფსისი, შუა ყურის მწვავე ანთება, სინუსიტი, და სხვა. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ საქართველოში აცრებით მოცვის მაჩვენებელი ზოგიერთი ძირითადი ანტიგენის მიმართ არც თუ ისე მაღალია, რაც თავის მხრივ, ზრდის ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკს. ყოველწლიურად საქართველოში წითელას მიმართ არავაქცინირებული რჩება 1-2 წლის 5000-მდე ბავშვი ხოლო არასრულად ვაქცინირებული 5-6 წლის 4000 ბავშვი. რაც თავის მხრივ, მოსახლეობის ფართო ასაკობრივ ჯგუფში დაავადების გავრცელების მიზეზი ხდება.

2013 წელს საქართველოში დაიწყო წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება, რომელმაც ეპიდემიოლოგიის სახე მთელი დადღემდე გრძელდება. მიმდინარე პერიოდისათვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემთხვევათა რაოდენობამ 10 ათასს გადაჭარბა, აქედან 4 დასრულდა ლეტალურად. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დაბალია მოსახლეობის ინტერესი წითელას საწინააღმდეგო აცრების მიმართ. საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, უკვე მეორე წელია მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ხორციელდება შესაბამისი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები წითელას მასიური გავრცელების პრევენციის მიზნით. კერძოდ, აუცრელი ან

არასრულად იმუნიზებულ 30 წლამდე ასაკის პირთა, სამედიცინო პერსონალის და წითელას საგარეულო შემთხვევის გამოვლენისას, ორგანიზებული კონტაქტების ერთჯერადი უფასო ვაქცინაცია წითელა-წითურა-ყბაყურას საწინააღმდეგო ვაქცინით. უნდა გვახსოვდეს რომ არავაქცინირებული პირი საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ასევე მის გარშემო მყოფი ადამიანების ჯანმრთელობას და სიცოცხლეს! აცერი და დაიცავი მომავალი თაობა! *მანია ილავრი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის იმუნიზაციის ექიმი*

მართლმადიდებლობა

სსენება ნიში ბაიისა ღაჰით ბაკაჰის უღახოუი მოწყვეილთა (1616წ)

ღაჰით ბარეჰის ღაჰერა დასაბამს VI საუკუნიდან იღებს და იმთავითვე ხდება საქართველოს სულიერებისა და კულტურის ერთ-ერთი ბრწყინვალე კერა. დავით-გარეჰის ღაჰერას იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა სიმრავლის გამო ბერთა ქალაქს უწოდებდნენ. ღაჰერა მრავალჯის დარბეულა მტერთა მიერ, მრავალი გარეჰელი მამა აღსრულებულა მოწამეობრივად, მაგრამ განსაკუთრებულია 1616 წლის აღღგომა ღამეს "სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვა".

1615 წელს სპარსეთის შაჰი აბასი დიდბალი ღაჰქრით თავს დაესხა საქართველოს, ქვეყნის დაპყრობის და აოხრების შემდეგ, იგი სანადიროდ გაემართა გარე კახეთის ველებში. გარეჰის მთებში მას შემოღამდა და იქვე დაბანაკდა მღვლებლებთან ერთად. შუალამისას შაჰის ყურადღება მიიპყრო შორს, მთაზე მოძრავმა ცეცხლოვანმა მწკრივმა, უსჯულოს თავიდან მონენება ეგონა, მაგრამ შემდეგ აუხსნეს: ამ აღღგომებში ბერები ცხოვრობენ, რომლებიც ახლა

ქრისტეს აღღგომას აღნიშნავენ და ანთებული სანთლებით გარს უვლიან ეკლესიასო. შაჰმა ბრძანა, მონასტერში მემორები გაეგზავნათ და ამოეხოცათ ბერები.

ამავე ღამეს ღვთის ანგელოზი გამოეცხადა დავით გარეჰის ღაჰერის წინამძღვარს არსენს და აუწვა: "უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ საგანგში მოგიწოდებთ ყველას. ამ ღამით თქვენ დიდი გამოცდა გეღვლით - მახვილით მოსერბით. ვისაც სურს, დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე, გაიქცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია იხსნას სული თავისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმერთის ეს მოწოდება საგანგში შეკრებილ ყველა ბერს.

წინამძღვარმა ყველას აუწვა ჩვენების შესახებ და მამებმაც იწყეს მოწამეობრივი ღვაწლისთვის მზადება. მხოლოდ ორ მორჩილს შეეშინდა სიკვდილის და მონასტრის მოშორებით ერთ-ერთ მთაზე დაიმაღლნენ.

წირვის ბოლოს "მამო ჩვენოს" გაღობიხას სპარსი მემორები გარს შემოერტყენსაგანეს. მონასტრის წინამძღვარი მაშინვე გავიდა რაზმის მეთაურთან და სთხოვა წირვის დასრულების და ზიარების ნებართვა დაერთოთ საძმოსთვის.

სპარსელებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, მცირე დროის შემდეგ აღესრულებინათ შაჰის ბრძანება. მამებმა მიიღეს წმინდა ზიარება, ერთმანეთი გაამხნევეს და სახვიმოდ შემოსილები წარდგნენ უსჯულოთა წინაშე.

სპარსელებმა პირველად წინამძღვარს მოაკვეთეს თავი, შემდეგ კი მხეცეცივით დაერივნენ მამებს და უწყალოდ აჩეხეს ყველანი. ამ დროს სიკვდილის შიშით მონასტრიდან წასულმა ორმა მორჩილმა იხილა ზეციდან გადმოსული ბრწყინვალე გვირგვინები, რომელთაგან ორი საწყალობლად ტეტივებდა ჰაერში. მორჩილები სასწრაფოდ დაბრუნდნენ უკან. სპარსელებმა იხინიც ნაკუწებად აჩეხეს და

მიწაზე მიმოფანტეს ფრინველების და გარეული მხეცეცივის შესატყმელად. შემდგომ ამ აღღგომას ამოვიდა ვარდის ბუნქი, რომელიც XIX საუკუნეშიც ხარობდა, უწყლო, მშრალ და ქვიან ნიადაგზე.

მოგვიანებით ქართველთა მეფემ არჩილმა დიდი გულმოდგინებით შეაგროვა მოწამეთა ძვლები და ქვის დიდ საწნახელში მოათუხა ტრაპეზის მარცხენა მხარეს. წმინდა ძვლებიდან კეთილსურნელოვანმა მირონმა იყო დენა.

წმინდა დავითის და წმინდა იოანე ნათლისმცემლის მონასტერთა ძმობამ თხოვნით მიმართა კათოლიკოს ანტონ I-ს, შეედგინა მათთვის ღვთისმსახურება და მათ პატივსაცემად დაედგინა ბრწყინვალე შეიდეულის სამშაბათი.

ღმერთმა მოგვანიტოს უნარი იმ სიხარულის და ნეტარების შეგრძნებისა, რასაც ბრწყინვალე შეიდეულის დღეები იტევს და გულისხმობს!

ამინ!

ბაბრძელება

რაც შეეხება საშიშროებას, დღეისათვის ფიჭვნარებს არავითარი საშიშროება არ ემუქრება.

გარდა კაკასიური ფიჭვისა, ფლორის კიდევ რა სახეობებია გავრცელებული ნაკრძალში?

ესენია: მეტეკიანი არყი, კაკასიური რცხილა, ჩვეულებრივი მურყანი.

აღმოსავლური წიფელი, წითელი ღვია, ტყის ცოცხი, ასკილი, ცირცელა, წნორი, ქართული მუხა, თრიმლი, შეინდანწლა, ეკალიტი, კატაბარდა, ძაღლმაცხეა, უთხოვარი, სურო, ცირცელი, ჩვეულებრივი ნეკერჩხალი და ჩვენი ტყეებისათვის დამახასიათებელი სხვა მცენარეულობა.

ნადირ-ფრინველის რა სახეობებია შემორჩენილი სადღეისოდ ნაკრძალში?

ნაკრძალის ტერიტორიაზე სადღეისოდ მუდმივი ბინადრები არიან დათვი, შველი, მგელი, მელა, მანვი. აქ მობინადრე ფრინველებიდან აღსანიშნავია ჩხიკვი, შაში, ქედანი, მტრელი, მიმინო, ქორი, ძერა, კოდალა, შავარდნისნაირთა რიგი: ორბი, გველიჭაპია არწივი, მთის არწივი, ველის არწივი, მღვლოს ძელგორი, ფეხბანჯგვლიანი კაკაჩა, წითელფეხა შავარდენი (თვალშავა), მ.შ. წითელი ნუსხის სახეობების წარმომადგენლები. ასევე, ამფიბიების, ქვეწარმავალთა და სხვა სახეობების წარმომადგენლები.

ალბათ ჯერი დადგა ყორულის სახელმწიფო აღკვეთილის შესახებაც ვისაუბროთ, რის შესახებაც დიდა საზოგადოებრივი დაინტერესება, რაც მისი, ამ რამდენიმე წლის უკან იჯარით ბიზნესმენ გოგი თოფაძეზე გადაცემითაა გამოწვეული. რა ფართობებს მოიცავს აღკვეთილი და საიდან სადამდე გრძელდება მისი საზღვრები?

ყორულის სახელმწიფო აღკვეთილი მდებარეობს მდინარე იორის ხეობების საგარეჯოს (1489 ჰა) და გურჯაანის (579 ჰა) რაიონების ტერიტორიაზე. იგი იწყება თბილისი-გურჯაანის გზატკეცილის ძველი მონაკვეთიდან და მთავრდება იორის სახელმწიფო აღკვეთილის ჩრდილოეთ საზღვართან გამავალ სარწყავ არხთან. სამონადირეო მეურნეობის განვითარების მიზნით, ყორულის აღკვეთილს სახელმწიფო

ვიცნობდეთ ჩვენს მიწა-წყალს ნაპრძალი და აღკვეთილები



ჩლიქოსნებიდან აღკვეთილში ბინადრობს გარეული ღორი, რომელთა რაოდენობა დიდადაა დამოკიდებული ბუნებრივ-კლიმატურ პირობებსა და საკვების მარაგზე. იმაზე თუ როგორია ტყეების მსხმოიარობა, ღორი ძირითადად შემოდის აღმოსავლეთიდან - ახერბაიჯანიდან. საკვების სიმცირის გამო კი ტოვებს აღკვეთილის ტერიტორიას და ეძებს ახალ საარსებო საშუალებას.

ტყის ფონდიდან 830 ჰა. ფართობი გადაეცა შპს „იორის ჭაღებს“, სადაც ნადირობის მოყვარულებს საშუალება ეძლევათ სეზონურად შესაბამისი საფასურის გადახდის საფუძველზე ინადირონ, როგორც გარეულ ტახებზე, ასევე ხობებზე. მისი აღმინისტრაციული შენობა თბილისიდან 64, ხოლო საგარეჯოდან 14 კილომეტრშია.

ყორულის აღკვეთილი სამეცნიერო წრეებში და მოსახლეობაში ცნობილია თავისი უნიკალური ტყეებითა და იქ მობინადრე ნადირ-ფრინველით. კერძოდ ფლორის და ფაუნის რა სახეობებს ვხვდებით სადღეისოდ იქ?

ყორულის სახელმწიფო აღკვეთილის მთავარ ღირსებად და ფლორის იშვიათი სახეობებიდან აღსანიშნავია გრძელყუნწა მუხა, ვერხვი მინდვრის თელა, ტირიფი. მეორადი ტყის წარმომადგენლები და შემქმნელი სახეობებიდან პანტა, მაჟალო, ტყემლი, ბუნქარებიდან კუნელი, კვინჩი, ფშატი, ძიკვი, ქაცვი, კოწახური, კვილო, ჭანჭყატი, შეინდანწლა, იაღლუნი, ასკილი და ა.შ. მხვიარა მცენარეები მაცვალი, ეკალიტი, კატაბარდა ადგილებს ქმნიან გაუგავს რაც ასე საუკეთესოა გარეული ნადირ-ფრინველის თავშესაფრად და მოსამრავლებლად.

რაც შეეხება აღკვეთილის ფაუნას, იგი წარმოდგენილია ისეთი მტაცებელი ცხოველებით, როგორებიც არის მგელი, ტურა, მელა, მცირე რაოდენობით ფოცხვერი, გარეული კატა. ასევე, გარეული კურდღელი, მანვი, ნუტრია. უკანასკნელ წლებში საგრძობლად იმატა მგლების რაოდენობამ, რომელთაც ხშირად შეხვდებით ჯოგებად 3-5, მკელნაობის პერიოდში კი მეტი რაოდენობითაც.

მტაცებელი ფრინველებიდან აღკვეთილში ბინადრობენ შვეარდენი, მიმინო, ქორი, ბუ, ჭოტი, ყვაგი, კაჭკაჭი, ველს არწივი, იშვიათად ბექობის არწივი. მიუვალ ადგილებში შეიძლება



შეგხვეთ ბუნების იშვიათი სანიტარი - სვაი.

ჭალის ტყეების მშვენებაა კოლხური ხოსობი, აღკვეთილში მრავალადაა გარეული მტრელი, ქედანი. აღკვეთილის ფრინველთა სამყაროს მშვენებაა დურაჯი, რომელსაც ძველ საქართველოში სამეფო ფრინველად მოიხსენიებდნენ.

აღკვეთილში, ასევე მრავალადაა წარმოდგენილი ქვეწარმავალთა სახეობები: ჭაობის კუ, გველხოკრა, ველის მახრჩობელა, თეთრზოლიანი მცურავი, კაკასიური გველგესლა, წყლის ანკარა, ჩვეულებრივი ანკარა, გიურზა, რომელიც ყველაზე მხამიან ქვეწარმავლად ითვლება. მისი შხამისგან მზადდება "ანტიბიურსინი" - გველის შხამ-



საწინააღმდეგო ვაქცინა.

ჩვენი საუბარი ალბათ სრულყოფილი არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევეხებით, მართალია სხვა რაიონში მდებარე, მაგრამ თქვენი აღმინისტრაციის შემადგენელ კიდევ ერთ იორის აღკვეთილსაც. რას გვეტყვით მის შესახებ?

ეს აღკვეთილი მდებარეობს სიდნაღის აღმინისტრაციული რაიონის ტერიტორიაზე. იგი იწყება ყორულის სახელმწიფო აღკვეთილის სამხრეთ საზღვართან გამავალ სარწყავი წყლის სათავიდან და მთავრდება დალის წყალსაცავთან "ჭაჭუნას" სახელმწიფო აღკვეთილის ჩრდილოეთ საზღვართან. მისი ფართობია 1336 ჰექტარი. ამ აღკვეთილისათვის ძირითადად თითქმის დამახასიათებელია ფლორის და ფაუნის ის სახეობები (ზოგიერთის) გამოკლებით, რაც ყორულის სახელმწიფო აღკვეთილში ვხვდებით. აღვლობრივი პირობებიდან გამომდინარე აქ მცენარეული საფარიდან ვხვდებით ფიჭვის და იაღლუნის კორომებს. იორის სახელმწიფო აღკვეთილში აიკრძალა საქონლის ძოვება, რის გამოც იმატა მცენარეთა აღმონაცენმა და ამის გარდა ასევე, შედარებით მშვიდი გარემო შეექმნა ფაუნას. მცენარეული საფარიდან აქ აღსანიშნავია შობურის ნიტრარია, რომელიც წარმოდგენილია აღკვეთილის ბუფერულ ზონაში, საზღვრიდან 50-100 მეტრის სიშორეზე. კვლევის მიუვალ ადგილებში ვხვდებით ბუნების საოცრება - კაკაბი.

ბაბრძელება იძენება



ვილოცვა

დაბადებიდან 60 წლის შესრულებას ვულოცავთ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს **ნიკოლოზ (ნოდარ) ვაჭარიშვილს**. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახურ ბედნიერებას და საკრებულოში თავისი ამომრჩეველებისათვის მიზანმიმართულ და ნაყოფიერ საქმიანობას.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო.



სპორტი

ირაკლი კუპატაძე – ევროპის ჩემპიონი



სპორტში სამბოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატში მონაწილე საქართველოს სამბისტთა ნაკრებში ჩვენი თანამემამულე **ირაკლი კუპატაძე** იღებდა მონაწილეობას. მან 57 კგ. წონით კატეგორიაში ახალგაზრდებში პირველი ადგილი დაიკავა (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი) და თავის ჯილდოებს კიდევ ერთი ოქროს მედალი შემატა. შევახსენებთ, რომ ირაკლი გასული წლის ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონია ჭაბუკებს შორის. წელს კი მან თავისი წარმატებები ახალგაზრდებშიც დაიწყო.

ვულოცავთ ირაკლის ამ დიდ გამარჯვებას

ტურნირი ბორში

ბორში ჩატარებულ ღერძიშხან ბერუაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან 1999-2000 წლებში დაბადებული ძიუდოსტები იღებდნენ მონაწილეობას. მათგან 60 კგ წონით კატეგორიაში პირველი ადგილი დაიკავა გიორგი მღებრიშვილმა. II ადგილი 55 კგ. წონით კატეგორიაში – ნიკა ბახილაშვილმა, ამავე წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა ამირან დარბაისელმა.

კულტურა

ღვაწლმოსილი და წარმატებული

ქალბატონები

პიღე ერთი ღამაში ღონისძიება მიუძღვნეს ქალბატონებს – კულტურის სახლის მცირე დარბაზში საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახალხო თეატრის მსახიობის ნათელა დიდმელაშვილის ინიციატივითა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ძალისხმევით ღვაწლმოსილი და წარმატებული ქალბატონებისთვის ღონისძიება სახელწოდებით „ჩემი ქალაქის შუადღე“ ჩატარდა. ღონისძიებაზე მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონე-

ბი, ადამიანები, რომლებმაც ათეული წლები შეაღიეს საკუთარ პროფესიას და ერთგულად ემსახურნენ რაიონს. კერძოდ, სადამო მიეძღვნა ყოფილ სპორტსმენ კალათბურთელ ქალბატონებს გულიკო ბაქრაძესა და თამილა სონიშვილს. სადამოს საოცარი არტისტიზმით და ემოციით უძღვებოდა ქალბატონი ნათელა დიდმელაშვილი. „მოფერების სადამო,, ასე შეაფასა აღნიშნული სადამო ღონისძიების წამყვან-

მა. იყო ბევრი ლექსი, სიმღერა. თითოეული ქალბატონი საკუთარ გამოსვლაში მშვენიერი სქესის წარმომადგენლებს ღამაში სიტყვებით ეფერებოდა და ხაზს უსვამდა მათ როლსა და მნიშვნელობას ჩვენს ყოველდღიურობაში. ღონისძიება რამდენიმე საათს გაგრძელდა და თითოეული ქალბატონისთვის დაუვიწყარ სადამოდ იქცა.

ნინო გვაგვალია



შენახვის მონაწილენი



ნათელა დიდმელაშვილი და მღვაწლმოსილი ქალბატონები

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი: თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,



გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru

სასწავლო მსარეკლამო

სასწავლო ცენტრი

„ბაზისი“

სასწავლო ცენტრი „ბაზისი“ გიწვევთ პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადების, აბიტურიენტთა და საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებზე.

ცენტრს გააჩნია ყველა პირობა სასწავლო პროცესის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

სასწავლო ცენტრში მიიღებიან მოსწავლეები საატესტატო გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსებზე, ჯგუფური მეცადინეობა ჩატარდება კვირაში 2-ჯერ 2-2 საათი.

სწავლის ყოველთვიური საფასური შეადგენს 100 ლარს.

სასწავლო ცენტრში ფუნქციონირებს რუსული ენის და ფრანგული ენის შესწავლელი კურსები, ჯგუფური მეცადინეობები ჩატარდება კვირაში 2-ჯერ.

მსმენელთა მიღება წარმოებს წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე.

სასწავლო კურსს უძღვებიან სამეცნიერო ხარისხის მქონე მოწვეული პედაგოგები.

ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდებისათვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსები დაიწება სექტემბრიდან (სწავლის ხანგრძლივობა 9 თვე)

(სრული კურსის ღირებულება შეადგენს 1000 ლარს)

თითოეულ ჯგუფში მხოლოდ 5 მოსწავლე.

ცენტრში ფუნქციონირებს შემდეგი სახის კურსები:

* საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი;

* (კურსი ასევე მოიცავს უფასო სტაჟირებას თვითმმართველ ორგანოებში)

* ბუღალტერიის კურსები;

* სრული კურსი მოიცავს:

* თეორიულ ბუღალტერიას;

* საბუთებსა და დოკუმენტებზე მუშაობას;

* **ORIS-ის კომპიუტერულ ბუღალტერიას.**

* საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;

სრული კურსი მოიცავს:

* წინასწარი აუდიტორული პროცედურები;

* სტრატეგიული დაგეგმვა;

* დეტალური დაგეგმვა;

* ადგილზე შესასრულებელი სამუშაოები;

* ანგარიშგება;

* ხარისხის კონტროლი;

ინგლისური ენის სერტიფიკირებული კურსები:

სწავლა CALLAN და DIRECT ENGLISH მეთოდით.

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ლაპარაკის ოთხჯერ უფრო სწრაფად შესწავლას.

* **საბანკო საქმე (ცენტრი უზრუნველყოფს უფასო სტაჟირებას ბანკებში);**

* **ქართული ენის კურსები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის;**

* **ტურიზმის მენეჯმენტი, გიდის ხელოვნება;**

* **PR-მენეჯმენტი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებში;**

* **HR-მენეჯმენტი (პერსონალის მართვა);**

* **მარკეტინგის მენეჯმენტი;**

* **პროექტების მენეჯმენტი;**

* **ოფისმენეჯმენტი, საოფისე პროგრამები სრულყოფილად;**

* **ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, სკოლის და ბაღის მასწავლებელთა და ფსიქოლოგთა გადამზადება;**

* **პოლიგრაფია-დიზაინი.**

კურსის ბოლოს ბაიციემა სერტიფიკატი!

შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი პროფესია, ენდეთ სასწავლო ცენტრ „ბაზისის“ თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამებს და მაღალპროფესიონალ გუნდს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და რეგისტრაციისთვის დაგვიკავშირდით მითითებულ საკონტაქტო ნომრებზე.

რეგისტრაცია წინასწარ დაგვიკავშირდით:

მისამართი:

ქ. საგარეჯო, ერეკლე II-ის ქუჩა №101;

ტელეფონები:

555417025, (0322)237-93-89

ან მოგვწერეთ

bazisi_office@yahoo.com

facebook.com/სასწავლო ცენტრი

„ბაზისი“